სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/29

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2021 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის სხდომის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედ ყველა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად.
2. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დაუყოვნებლივ ასახვა მოქმედ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში და აკადემიურ საბჭოზე დადგენილი წესით წარმოდგენა დასამტკიცებლად;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**